

გამოყენების ინსტრუქცია ანაფტინი® სპრეი

ანაფტინი® სპრეი ხელს უწყობს ტკივილის შემსუბუქებას, რაც გამოწვეულია პირის ღრუში მცირე დაზიანებებით, მაგალითად აფტოზური სტომატიტის, აფტოზური წყლულების შედეგად, ასევე ბრეკეტებისა და ცუდად შერჩეული პროთეზების გამოყენებით მიღებული მცირე დაზიანებებით. ის, ასევე, ინიშნება დიფუზური აფტოზური წყლულების სამკურნალოდ.

მოქმედების მექანიზმი:

ანაფტინი® სპრეი შეიცავს პოლივინილპიროლიდონს (პვპ) და ჰუალურონის მჟავას, რომლებიც ქმნის პირის ღრუს შემომგარსველ დამცავ ფენას, დაზიანებული უბნების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფით, რაც ამსუბუქებს ღია ნერვული დაბოლოებების გაღიზიანებით გამოწვეულ ტკივილს. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ჰუალურონის მჟავა და ალოე ვერა უზრუნველყოფს დაზიანებული ქსოვილების ბუნებრივ შეხორცებას.

გამოყენების წესი:

პრეპარატის პირველად გამოყენების შემთხვევაში, მოხსენით მას თავსახური და დაამაგრეთ საფრქვევის თავზე. მიმართეთ საფრქვევის თავი პირის ღრუში დაზიანებისკენ და გააფრქვიეთ 3-ჯერ ან, თუ საჭიროა, დაზიანებული უბნის დაფარვამდე. საუკეთესო შედეგის მისაღებად, არ მიიღოთ საკვები და სასმელი სპრეის გამოყენებიდან სულ მცირე 1 საათის განმავლობაში. საფრქვევის თავი შესაძლებელს ხდის მაქსიმალურად ეფექტურად დაიფაროს პირის ღრუში არსებული დაზიანებები.

გამოიყენეთ 3-4 ჯერ დღეში ან უფრო ხშირად, საჭიროების შემთხვევაში.

შემადგენლობა:

წყალი, პოლიპროპილენგლიკოლი, პოლივინილპიროლიდონი (პვპ), მალტოდექსტრინი, *Aloe barbadensis*, კალიუმის სორბატი, ნატრიუმის ბენზოატი, პოლიეთილენგლიკოლი 40 ჰიდროგენირებული აბუსალათინის ზეთი, ეთილენდიამინტეტრაამარმჟავას დინატრიუმი, ბენზალკონიუმის ქლორიდი, ნატრიუმის ჰუალურონატი, არომატიზატორი, ნატრიუმ-საქარინი, დიკალიუმის გლიცირიზატი.

სიფრთხილის ზომები:

ანაფტინი® სპრეის გამოყენება უკუნაჩვენებია ანამნეზში პრეპარატის ნებისმიერი ინგრედიენტის მიმართ ჰიპერმგრძობელობის მქონე პაციენტებში. თუ ხართ

ორსულად, პრეპარატის გამოყენებამდე მიმართეთ ექიმს. პირის ღრუში წყლულების ხშირად განვითარების შემთხვევაში რეკომენდებულია ექიმთან კონსულტაცია.

გაფრთხილება და სიფრთხილის ზომები:

პრეპარატი არ გამოიყენება ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ ან ფლავონის დაზიანებისა თუ გაჟონვის შემთხვევაში. პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე. პრეპარატი შეინახეთ ოთახის ტემპერატურაზე, გამაცხელებელი საშუალებების პირდაპირი ზემოქმედებისგან შორს. არ გაყინოთ. დაიცავით თვალთან კონტაქტისგან.

მოცულობა:

15 მლ

მწარმოებელი:

ალიანს ფარმა სრლ (Alliance Pharma Srl)
რესტელის გამზირი 5, 20124 მილანი, იტალია

დისტრიბუტორი:

ბერლინ-ხემი აბ (მენარინი ბრუა),
გლინიკერ ვეგ 125, 12489 ბერლინი, გერმანია

რედაქტირების თარიღი: 09/2016